ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 283

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.934) და 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ. 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.934) და 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის (ს/ნ 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის №25.821.917 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.934) და 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის (ს/ნ. 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 45600 (ორმოცდახუთი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე